

Vorsatz, direkter (dolus directus)

Der direkte Vorsatz ist eine Vorsatzform, die über den normalen Vorsatz hinausgeht und bei der entweder das Wollen (= Absicht = dolus directus 1. Grades) oder das Wissen (= Wissentlichkeit = dolus directus 2. Grades) dominiert. Üblicherweise genügt im **deutschen Strafrecht** zur Tatbestandsverwirklichung ein „normaler“ Vorsatz. Manche Tatbestände erfordern aber auch ausdrücklich ein „zielgerichtetes“ Wollen (Absicht), so etwa beim Diebstahl (§ 242 dStGB) die Zueignungsabsicht oder beim Betrug (§ 263 dStGB) die Bereicherungsabsicht. Absicht wird auch gefordert, wenn der Tatbestand eine Intention mit „um zu“ ausdrückt, etwa beim Mordmerkmal „um eine andere Straftat zu verdecken“ (§ 211 dStGB). Andererseits fordern manche Tatbestände ein Handeln „wider besseren Wissens“ (= Wissentlichkeit), etwa bei der Falschen Verdächtigung (§ 164 dStGB) oder bei der Verleumdung (§ 187 dStGB). Die Strafvereitelung (§ 258 Abs. 1 dStGB) enthält beide Elemente: „Wer absichtlich oder wissentlich [...]“.

Im **georgischen Recht** ist der direkte Vorsatz (= dolus directus) in Art. 9 Abs. 2 gStGB geregelt (= Absicht = dolus directus 1. Grades [Alt. 1] und Wissentlichkeit = dolus directus 2. Grades [Alt. 2]). Zur Tatbestandsverwirklichung genügt auch im **georgischen Strafrecht** ein „normaler“ Vorsatz. Auf die Intention weisen die Formulierungen „zum Zwecke“, „um ... zu“, oder „zur“ hin. Es gibt jedoch, wie im **deutschen Strafrecht**, auch Absichtstatbestände, die eine Intention des Täters vorsehen: Zueignungsabsicht bei Diebstahl (Art. 177 gStGB) und Betrug (Art. 180 gStGB); „um eine andere Straftat zu verdecken“ (Art. 109 lit. c gStGB); Vollziehung eines illegalen Rechtsgeschäftes „zum Zwecke der Adoption eines Minderjährigen“ (Art. 172 gStGB); Tötung auf Verlangen, „um den Sterbenden von starken physischen Schmerzen zu befreien“ (Art. 110 gStGB). (Bhe/Kmt)

განზრახვა, პირდაპირი (dolus directus)

პირდაპირი განზრახვა განზრახვის ერთერთი ფორმაა, რომელიც ჩვეულებრივი განზრახვის ფარგლებს სცილდება, რომლის დროსაც დომინირებს ან სურვილი (= მიზნით დეტერმინირებული = 1-ელი ხარისხის პირდაპირი განზრახვა), ანდა ცოდნა (= შედეგის დადგომის გარდუვალობის ცოდნა = მე-2 ხარისხის პირდაპირი განზრახვა). **გერმანულ სისხლის სამართალში**, როგორც წესი, „ჩვეულებრივი“ განზრახვა საკმარისია, თუმცა ზოგიერთი შემადგენლობა ცალსახად მოითხოვს „გამიზნულ“ სურვილს (მიზნით დეტერმინირება), როგორც, მაგალითად ქურდობისას (გსსკ-ის 242-ე პარაგრაფი) მითვისების მიზანი ანდა თაღლითობა (გსსკ-ის 263-ე პარაგრაფი) გამდიდრების მიზანი. 1-ელი ხარისხის პირდაპირი განზრახვა საჭიროა მაშინაც, როდესაც ქმედების შემადგენლობა გამოხატავს გამიზვნას გამოთქმით „იმისათვის, რომ“, მაგალითად მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (გსსკ-ის 211-ე პარაგრაფი) „სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით“. მეორე მხრივ, ქმედების ზოგიერთი შემადგენლობა მოითხოვს

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

ქმედებას „სიცრუის სრული გაცნობიერებით“ (= გაცნობიერებულობა), მაგალითად ცრუ დასმენა (გსსკ-ის 164-ე პარაგრაფი) ანდა ცილისწამება (გსსკ-ის 187-ე პარაგრაფი). მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლა (გსსკ-ის 258-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი) მოიცავს ორივე ელემენტს: „ვინც განზრახ, ანდა გაცნობიერებულად [...]“.

ქართულ სისხლის სამართალში პირდაპირი განზრახვა (= dolus directus) გათვალისწინებულია სსსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში (მიზნით დეტერმინირებული განზრახვა [1-ელი ალტერნატივა] და შედეგის დადგომის გარდუვალობის შეცნობა [მე-2 ალტერნატივა]). ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად **ქართულ სისხლის სამართალშიც** საკმარისია „ჩვეულებრივი“ განზრახვა. გამიზვნაზე მიუთითებენ სიტყვები „მიზნით“, „რომლის მიზანია“, ანდა „...-ად“. არსებობს ასევე, როგორც **გერმანულ სისხლის სამართალში**, მიზნით დეტერმინირებული შემადგენლობებიც, რომლებიც ამსრულებლის გამიზვნას ითვალისწინებენ. მითვისების მიზანი ქურდობის (სსსკ-ის 177-ე მუხლი) და თაღლითობის (სსსკ-ის 180-ე მუხლი) დროს; „სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით“ (სსსკ-ის 109-ე მუხლის გ) პუნქტი); უკანონო გარიგების განხორციელება „შვილად აყვანის მიზნით“ (სსსკ-ის 172-ე მუხლი); მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, „მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით“ (სსსკ-ის 110-ე მუხლი). (Bhe/Kmt)